

იეჰოვას მოწმეები

თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთი ულტრაპროტესტანტული მიმართულებაა, რომელიც არ იზიარებს ზოგადქრისტიანული მოძღვრების ძირითად პრინციპებს- ერთარსება სამების დოგმატს. მისი ქრისტოლოგია ენათესავება ალექსანდრიელ მღვდლის არიოზის თეორიას, ესქალოტოგია კი გნოსტიკოსთა ქილიაზმს: ბოლო ჟამს ქრისტეს ათასწლოვანი სამეფოს დაარსების რწმენას.

არსებობს ორი მიმართულება: რუსული - დამაარსებელი - ნ. ს. ილინი, ამერიკაში - ჩარლზ რასელი და ჯოზეფ რუტერფორდი. ამის გამოც „იეჰოვას მოწმეებს“ ილინისტებს, რასელისტებსა და რუტერფორდელებს უწოდებენ. დაარსების თარიღი მე-19 საუკუნის შუა წლებია. ორგანიზაციას ამერიკაში თავიდან „ბიბლიის მკვლევართა საზოგადოება“ ეწოდებოდა. მის წევრებს წევრებს „იეჰოვას მოწმეები“ 1931 წლიდან ჰქვიათ. მათი სახელები მომდინარეობს ბიბლიიდან. რასელსა და რუტერფორდის მოძღვრების მიმდევრები ღვთის სახელის განსაზღვრას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ. ისინი გამოსცემენ ჟურნალებს „საგუშაგო კომპი“ და „გამოიღვიძეთ!“

რუსულ მიმართულების მოძღვრება და კულტი კაპიტანმა ილინმა ჩამოაყალიბა თხუზულებებში ი“სიონის ამბავი“ და „ქრისტეს შვიდათასწლიანი ბრძოლა ბელიართან“, რომელთაგან პირველი 1846 წელს გამოიცა.

რაც ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე „იეჰოვას მოწმეების“ ამერიკულმა ტალღამ შემოაღწია, ილინელები აღარ ჩანან. თუმცა მათ დევნა, რეპრესიები და დაპატიმრებები არ აცდენიათ საბჭოთა კავშირში, მათი ფილიალები მაინც არსებობდნენ. დღეისათვის მათი რიცხვი 7 მლნ. აღწევს.

„იეჰოვას მოწმეების“ სპეციფიური ნიშანი, რითიც ისინი დანარჩენ ქრისტიანთა ნაწილს უპირისპირდებიან, იესო ქრისტეს პიროვნების მათეული დეფინაციაა. ისინი თუმცა აღიარებენ ღვთის ძეს და სული წმინდას, მაგრამ ისინი მათ ჭეშმარიტ ღმერთად არ მიიჩნევენ. ისინი

დოგმატს ღმერთის ერთარსება-სამების შესახებ არ ცნობენ. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ქრისტე ბოძზე აცვეს და არა ჯვარზე. ისინი უარყოფენ ადამიანის უკვდავ სულს. მათთვის არც სამოთხე და არც ჯოჯოხეთი არ არსებობენ. მათი აზრით ქრისტეს მეორე მოსვლა უკვე 1914 წ. მოხდა.

საქართველოში ამ მიმდინარეობის ისტორია მე-19 ს. მიწურულიდან იწყება თბილისში ილინელების რუსულენოვანი თემი მოქმედებდა, რომელმაც საბჭოთა კავშირის დროსაც განაგრძეს არსებობა კონსპირაციულად. ამერიკული მიმართულების ქართულენოვანი ქადაგება 1953 წ. იწყება. 1970წ. ენგურჰესზე 12 პროზელიტი მოინათლა და უშიშროების სამსახურმა მქადაგებლების მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

საქართველოში პირველი თავყრილობა 1973 წელს მოეწყო. „იეჰოვას მოწმეების„ ცენტრად თბილისი ითვლება. საქართველოში არსებობს დარეგისტრირებული 2003 წ „პენსილვანიის საგუშაგო კომპის ბიბლიისა და ტრაქტატების ფილიალი“.